ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ.თბილისი 20.08.2015
სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;
მანანა რატიანი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი;
ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი;
ინდირა ამირანაშვილი - დაწყებითი განათლების პროექტის (USAID/G-PriEd) დირექტორის მოადგილე;
პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი, შპს - განათლებისა და მართვის გუნდის დირექტორი;
ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაცია-ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ინგა მაჩიტიძე - შპს არილის დირექტორი;
მაია კაჭარავა - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელის წარმომადგენელი;
მიხეილ ტეფნაძე - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელის დირექტორის კონსულტანტი ადმინისტრირების მიმართულებით;
ქეთევან სიხარულიძე - ა(ა)იპ - ჩვენი სკოლის წარმომადგენელი;
თათია ზარქუა - ა(ა)იპ - ჩვენი სკოლის იურისტი;
ნინო ჭოხონელიძე - შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარის წარმომადგენელი;
დეკანოზი ბესარიონი - შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკრის წარმომადგენელი;
გარი ჩაფიძე - შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი;
ნინო კვიტაიშვილი - შპს თანამედროვე განათლების აკადემიის დირექტორი;
თათია ზარქუა - შპს თანამედროვე განათლების აკადემიის იურისტი;

დავით ლიპარტელიანი - შპს თანამედროვე განათლების აკადემიის სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
ზვიად არძენაძე - შპს თბილისის საერთაშორისო განათლების სკოლის იურისტი;
მაია ლორთქიფანიძე - შპს თბილისის საერთაშორისო განათლების სკოლის დამფუძნებელი;
თეა შარვაძე - შპს თბილისის საერთაშორისო განათლების სკოლის დირექტორი;
ნინო ჯანჯღავა - ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენელი;
ანდრეს ხ. კრუზი - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - დირექტორი;
მარინე ჯაფარიძე - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - დირექტორის მოადგილე;
თამარ შალამბერიძე - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - მოსწავლეთა დეკანი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

მიხეილ ტეფნაძე;
მარიამ ხუციშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
ნოდარ ანგურიძე;
ნელი ნასყიდაშვილი;
დავით ჭეიშვილი;
ლიანა კობესაშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
ქეთევან ბოტკოველი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ლაშა მკურნალიძე.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 15:30 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს არილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჩვენი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სკოლა-ლიცეუმ "ცისაკარის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის საერთაშორისო განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს არილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - მიხეილ ტეფნაძემ. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2014-2015 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული და დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს მიერ (2014 წლის 8 სექტემბერს). აღსანიშნავია, რომ კათედრების სხდომები, სადაც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები (სილაბუსების შედგენა, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება) განხილული იქნა, ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს ჩატარების შემდეგ.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო:

1. სკოლის მისია;
2. სასწავლო წლის კალენდარი - რომლის მიხედვითაც სასწავლო კვირა 5 დღით, გაკვეთილების ხანგრძლივობა 45 წუთით, ხოლო პირველ კლასში - 35 წუთითაა განსაზღვრული, გაკვეთილების ცხრილის მიხედვით გაკვეთილებს შორის დასვენება - 5 წუთი, მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შორის 15 წუთიანი იყო. შინაგანაწესის მიხედვით, სწავლება სკოლაში იწყებოდა 9:30 საათზე.
3. სასკოლო საათობრივ ბადეზე - რომელშიც გაწერილი იყო საგნების დასახელებები კლასების მიხედვით და საათობრივი რაოდენობა კვირის მიხედვით, ასევე წარმოდგენილი იყო გაკვეთილების ცხრილები, რომლებიც აზუსტებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გაკვეთილების განრიგს დღეებისა და საათების მიხედვით. დაწესებულებაში დაგეგმილი იყო ყველა სავალდებულო საგნის სწავლება. აღსანიშნავია, რომ პირველ კლასში, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვა არის 22 საათი, სკოლის საათობრივი ბადის და გაკვეთილების ცხრილის მიხედვით მეორე სემესტრში იყო 21 საათი. საათობრივ ბადის მიხედვით, მეორე კლასში საათების ჯამური რაოდენობა კვირაში გაწერილია 24 საათი, ხოლო საათობრივი ბადის საგნების საათობრივი ჩამონათვალის და ცხრილის მიხედვით ფიქსირდებოდა 23 საათი, საათობრივ ბადეში მეთერთმეტე კლასში საათების ჯამური რაოდენობა კვირაში გაწერილი იყო 35 საათი, ხოლო საათობრივი ბადის საგნების საათობრივი ჩამინათვალის და ცხრილის მიხედვით ფიქსირდებოდა 34 საათი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა, რაც დაწესებულებამ გაასწორა. მან ასევე დაამატა, რომ ვიზიტის

პერიოდში ექსპერტების მხრიდან აღნიშნულზე მითითება არ მომხდარა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პირველ დღეს დაწესებულება ინფორმირებული იყო მთელ რიგ ხარვეზებზე. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას საშუალება მისცა შესწორებები შეეტანა დოკუმენტაციაში და დასკვნა მოამზადა საბოლოოდ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით.

4. სკოლა მოსწავლეებს სავალდებულო სახით სთავაზობდა რუსული ენის სწავლებას მეორე კლასიდან. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა მეორე უცხო ენის (რუსული ენა) მეორე კლასიდან სწავლებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მანანა რატიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა მოპოვებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან შესაბამისი ნებართვა რუსული ენის მეორე კლასიდან სწავლებასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ნებართვა სკოლას არ გააჩნდა, თუმცა გამოასწორებდა ფაქტობრივ გარემოებებს.

5. ინკლუზიური განათლების პროგრამა - რომელიც შედგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული ზოგადი პრინციპებისაგან.

6. სასწავლო მასალის ჩამონათვალი - მასში გაწერილი იყო გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები საფეხურის საგნების შესაბამისად (კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით).

აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავდა დამატებით სასწავლო მასალის ჩამონათვალს, რომლებიც გაწერილი იყო საგნების სასწავლო გეგმებში.

7. მოსწავლის შეფასების სისტემა - შეფასების სისტემაში გაწერილი იყო მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა, საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი ნაწილები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გაცდენები, გამოცდის ტიპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება.

8. სადამრიგებლო პროგრამა - ყველა კლასს ენიშნება დამრიგებელი. პროგრამაში აღწერილი იყო კლასის დამრიგებლის მოვალეობები, მუშაობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები, მოსწავლის მშობლის ინფორმირების/შეტყობინების სტრატეგიები. სასკოლო სასწავლო გეგმაში სადამრიგებლო პროგრამა უცვლელად იყო გადმოტანილი ეროვნულ სასწავლო გეგმიდან და არ იყო დაზუსტებული და კონკრეტულად მორგებული სკოლაზე, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია დაკონკრეტებულია შინაგანაწესში.

9. კათედრები და მათი ფუნქციები - სკოლაში ფუნქციონირებდა ხუთი კათედრა, კერძოდ: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, საზოგადოებრივის, უცხო ენების, საბუნებისმეტყველოს, და დაწყებითი კლასების. გაწერილია კათედრის ფუნქცია - მოვალეობები,კათედრაზე მუშაობის კომპონენტები, კათედრის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და კათედრის შეფასების სისტემა.

10. მოსწავლთა რაოდენობა - სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით კლასებში მოსწავლეთა, რაოდენობა განისაზღვრება ესგ-ის შესაბამისად, ხოლო, შინაგანაწესის მიხედვით, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 20 (+2) მოსწავლით. სკოლას ჰყავს 146 მოსწავლე. აღსანიშნავია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო განსაზღვრული საბაზო და საშუალო საფეხურზე არჩეული სპორტის მიმართულებები, აღნიშნული ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა საგნის თემატურ-კალენდარულ გეგმების ნაწილში, ნაწილში კი სპორტის სახეობად არჩეული იყო მხოლოდ ორი მიმართულება ფრენბურთი და კალათბურთი. სკოლის დირექტორის განცხადებით სპორტის მიმართულებად არჩეული იყო მძლეოსნობა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო ყველა სავალდებულო საგნის სწავლება. სკოლაში შექმნილი იყო თემატური გეგმები საგნებისა და კლასების მიხედვით. სკოლას საშუალო საფეხურზე არჩევით საგნებად ჰქონდა ხელოვნების ისტორია და კინოხელოვნება. აღსანიშნავია, რომ სკოლის სასწავლო გეგმაში გაწერილ საათობრივ ბადეში კინოხელოვნება არ ფიქსირდებოდა, განსხვავებით სასწავლო ჟურნალებისა. სკოლამ ვერ წარმოადგინა არჩევითი საგნების საგაკვეთლო გეგმები. სკოლის მიერ წარმოდგენილ სპორტის თემატური გეგმები გაწერილი იყო ორ-ორ კლასზე (I-II,V-VI, VII-VIII, XI-XII), შესაბამისად წლის ბოლომდე გასავლელი თემებიდან სტანდარტით დასაძლევი მიზნები ორი კლასისთვის საერთოა, რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ სპორტის პროგრამაში არსებულ სტანდარტებს კლასების მიხედვით.

1.3 სკოლას არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო ინკუზიური განათლების ეროვნული სასწავლო გეგმიდან ამოღებული ზოგადი პრინციპები. დაწესებულებას ექსპერტების ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/ჩარჩო, რომელიც მორგებული და განხორციელებული იქნებოდა საჭიროების შემთხვევაში.

1.4 მოსწავლის შეფასების სისტემაში გაწერილი იყო მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა, საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი ნაწილები, განსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გაცდენები, გამოცდების ტიპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება. აღსანიშნავია, რომ საგნობრივი კათედრების ჟურნალის მიხედვით, კათედრებზე განხილული იყო შეფასების კრიტერიუმები, თუმცა აღნიშნული კრიტერიუმები დაწესებულებას ვიზიტის პეროდში არ წარმოუდგენია ექსპერტებისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას, სემესტრის ბოლოს და წლის ბოლოს არ ჰქონდა გაწერილი შიდა სასკოლო გამცდები, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებით, თემატური გეგმების და საკლასო ჟურნალების დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული გამოცდები ტარდებოდა გარკვეულ საგნებში (XI კლასი: გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა; X -კლასი ინგლისური და ქართული, IX - ქართული, მათემატიკა ინგლისური; VIII კლასი: ქართული, ინგლისური; VII კლასი : მათემატიკა, ინგლისური) და სემესტრული ნიშნის გამოყვანის დროს სემესტრის განმავლობაში მიღებული ნიშნების საშუალო მაჩვენებელს ემატებოდა საგამოცდო ნიშანი და იყოფოდა 2-ზე. აღნიშნული გამოცდის ნიშნები სასკოლო ჟურნალებში შეტანილი იყო სემესტრული გამოცდის გრაფაში, რომელიც ჟურნალის წარმოების წესის მიხედვით ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო გეგმის 23 მუხლის 2 პუნქტის, ბ ქვეპუნქტის თანახმად, მოსწავლე უფრო მაღალი შეფასების მიზნით ჩააბარებს სემესტრულ გამოცდას.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგებსა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს უკვე გამოუცხადა სასტიკი საყვედურები. მან ასევე დაამატა, რომ გამოცდის ნიშანს არსებითი გავლენა არ მოუხდენია საბოლოო ნიშნის გამოყვანაზე. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იგი 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან იშვიათად იმყოფებოდა სკოლაში, შესაბამისად აღნიშნული ხარვზებიც მისი არყოფნით იყო გამოწვეული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წამოღებული ჰქონდა გასწორებული სასწავლო პროგრამები - თემატური კალენდარული გეგმები, რაზეც თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული გეგმების გადახედვა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დოკუმენტაციის გადახედვას ნახევარი საათი დასჭრდებოდა.

საბჭოს წევრმა მაია მაღლაკელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმოამდგენლებს შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რაზეც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო შეფასების კრიტერიუმები, თუმცა ექსპერტმა მარიამ ხუციშვილმა დააზუსტა, რომ ვიზიტის პერიოდში შეფასების კრიტერიუმები სასკოლო სასწავლო გეგმაში არ დაფიქსირებულა.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 შპს არილი საჯარო რეესტრის ამონაწერებისა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩა N36-38-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველ და მეორე სართულზე და საკუთრებაში ფლობდა 629.66 კვ.მ. ფართს. პირველ სართულზე ფართი შეადგენდა (კომერციული ფართი) - 260.09 კვ.მ.-ს (ს.კ. 05.23.26.003.01.522), ხოლო მეორე სართულზე (არასაცხოვრებელი ფართი) - 369.57 კვ.მ.-ს (ს.კ. 05.23.26.003.01.502).

სკოლის მოსწავლეებს, სკოლის საკუთრებაში არსებულ ფართში, პირველ სართულზე შესვლა შეეძლოთ კორპუსის სადარბაზოს გავლით, ხოლო მეორე სართულზე, პირველი სართულის სადარბაზოს კიბის უჯერდის გამოყენებითა და სადარბაზოს გარედან, ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილიდან მეორე სართულზე ამავალი ფართო ბილიკით.

პირველ სართულზე განთავსებული იყო 9 ოთახი და სამი სველი წერტილი. აღნიშნული ოთახებიდან ერთი ოთახი დირექტორის კაბინეტი იყო, დანარჩენი 8 ოთახიდან 5 საკლასო ოთახი. სამ ოთახში განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის ინვენტარი. სკოლის დირექტორის განცხადებით, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის ოთახები გამოიყენებოდა საკლასო ოთახებად. ქიმიის ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ოთახს არ ჰქონდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, ხოლო ბიოლოგიის ლაბორატორიის ოთახში ბუნებრივი განათება საკმაოდ დაბალი იყო, რადგან ფანჯრის მინად გამოყენებულია ე.წ. მინის ბლოკი. გარდა ამისა, აღნიშნულ ფანჯარასთან ახლოს აშენებული იყო სახლის კედელი.

აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ოთახში დატოვებული სივრცე თავისუფლად იძლეოდა ვენტილაციის საშუალებას. სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ლაბორატორიას სჭირდებოდა სპეციალური გამწოვი და ფართო ფანჯრები, რათა კარგად მომხდარიყო ვენტილაცია და კითხვით მიმართა ექსპერტებს, იყო თუ არა მსგავსი რამ უზრუნველყოფილი. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ვენტილაციისათვის დატოვებული სივრცე არ იყო საკმარისი.

2.2 საკლასო ოთახებში განთავსებული იყო დაფები, ინდივიდუალური მერხები, სკამები, მასწავლებლის მაგიდები და სკამები. ვიზუალური დათვალიერებით სკოლას ჰქონდა 12 სასკოლო დაფა, 132 ინდივიდუალური მერხი და სკამი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას გააჩნდა 12 სასკოლო დაფა, 100 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდეგნილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდებოდა, რომ, აღნიშნული მერხები შეესაბამებოდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული 142 სმ და ნაკლები, და 157-172 სმ-ის მოსწავლისათვის განკუთვნილი სასკოლო მერხის სიმაღლეს. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას წარმოადგინა შპს არილსა და ინდ. მეწარმე დავით ძნელაძეს შორის 2015 წლის 06 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე

რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული 142-157 სმ-ისა და 172 და მეტი სანტიმეტრის სიმაღლის მოსწავლის შესაბამისი, საერთო ჯამში 60 ერთეული სასკოლო მერხისა და სკამის დამზადება. შემსრულებელი იღებდა ვალდებულებას 30 კალენდარულ დღის ვადაში აღნიშნული ინვენტარის დამზადებაზე.

დაწესებულებამ საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ხელშეკრულება მერხების შეძენასთან დაკავშირებით. საბჭო გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

2.3 სკოლას მეორე სართულზე სპორტის სახეობებისთვის გამოყოფილი ჰქონდა დიდი ზომის ოთახი, რომლის ფართიც, სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეადგენდა 47.14 კვ.მ-ს. სასკოლო სასწავლო გეგმით არ იყო განსაზღვრული, სკოლა საბაზო და საშუალო საფეხურზე სპორტის რომელ სახეობებს სთავაზობდა მოსწავლეებს. წარმოდგენილ თემატური გეგმების მიხედვით ირკვეოდა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა სპორტის სახეობებს - ფრენბურთსა და კალათბურთს. აღნიშნული სპორტის სახეობებისთვის სწავლების განსახორციელებლად, სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ ოთახში არ იყო შესაბამისი პირობები (სივრცე, ინვენტარი ...). სკოლის დირექტორის განცხადებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სპორტის სახეობად სთავაზობდა მხოლოდ მძლეოსნობას. სპორტისთვის გამოყოფილ ოთახში იყო ტატამი, თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა მისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ოთახის ზომით და აღჭურვილობით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოთახის ჭერი 4 მეტრამდე იყო და მძლეოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის თამაში მოსწავლეებს სრულიად შეეძლოთ. რაც შეეხებოდა სპორტის სხვა სახეობებს, დაწესებულებამ ხელშკერულება გააფორმა აღნიშნული სპორტის სახეობების განხორციელების მიზნით ბათუმის მუნიციპალიტეტთან, სპორტული მოედნის გამოყენების უფლებით. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ჰქონდა სპორტული ინვენტარის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.

2.4 სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნირებების ლაბორატორიის ინვენტარი განთავსებული იყო სამ ოთახში. აღნიშნული სამი ოთახიდან ორს საკლასო ოთახის ფუნქცია ჰქონდა. დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა სხვადასხვა რეაქტივების შესყიდვის სასაქონლო ზედნადები და 2015 წლის 1 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი N8, რომლის მიხედვითაც სკოლას საჩუქრად გადაეცემოდა საბუნებისმეტყველო მეცნირებებების ლაბორატორიის სხვადასხვა აღჭურვილობა. აღნიშნული ჩუქების აქტის მიხედვით, სკოლა ფლობდა 157 ერთეულ სხვადასხვა აღჭურვილობას. ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ლაბორატორია არ შეესაბამებოდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს ბრძანებას. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, ლაბორატორიის აღჭურვილობა 208 სახეობა და აღჭურვილობის ერთეულთა ჯამი დაახლოებით 641-ი იყო. სკოლის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლას ჰქონდა 40 სახეობის აღჭურვილობა და აღჭურვილობის ერთეულთა ჯამი შეადგენდა 157-ს.

2.5 სკოლას მიეწოდებოდა ელექტროენერგია. პირველ სართულზე არ იყო დამონტაჟებული გათბობის სისტემა. სკოლის დირექტორის განცხადებით, საკლასო ოთახები თბებოდა ელექტროქურებით. წარმოგენილი იქნა 10 ერთეული ელექტროქურის ფლობის დოკუმენტაცია. მეორე სართულზე დამონტაჟებული იყო ბუნებრივი აირით გათბობის ცენტრალური სისტემა. სკოლის დირექტორის განცხადებით პირველ სართულზეც იგეგმებოდა ბუნებრივი არით

გათბობის ცენტრალური სისტემის დამონტაჟება. სკოლაში იყო 8 სველი წერტილი, რომლებსაც მიეწოდებათ წყალი.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ საკლასო ოთახებად გამოყოფილი ოთახებიდან ერთ-ერთში, ბუნებრივი განათება საკმაოდ მცირეა, რადგან ფანჯრის მინად გამოყენებული იყო ე.წ. მინის ბლოკი. გარდა ამისა, აღნიშნულ ფანჯარასთან ახლოს იყო ახლომდებარე სახლის კედელი.

2.6 სკოლას მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში განთავსებული ჰქონდა ბიბლიოთეკა. ამავე სივრცეში გამოყოფილი იყო სამკითხველო სივრცე, რომელშიც იდგა 6 ინდივიდუალური მაგიდა და სკამი. ბიბლიოთეკას ჰქონდა დებულება. ბიბლიოთეკაში განთავსებული მხატვრული ლიტერატურა გაფომრებული იყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და გატარებული იყო ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში - სულ 330 ერთეული. გამოკრული იყო ბიბლიოთეკის მუშაობის საათები. ანბანური საძიებო კატალოგად გამოყენებული იყო პოლიეთილენის ყუთი, რომელშიც ანბანური წყობით ჩალაგებულია კატალოგის ბარათები. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოების ფლობა ვერ დადასტურდა. აღნიშნული წიგნები არ იყო შესაბამისად დამუშავებული და ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში შეტანილი, ასევე არ დაფიქსირდა წიგნების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტცია.

დაწესებულებამ საბჭოს წარუდგინა წიგნების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტი - ჩუქების ხელშეკრულება. საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, ავტორიზაციის ვიზიტამდე ფუნქციონირებდა თუ არა სკოლაში ბიბლიოთეკა, რაზეც სკოლის დირექტორმა გაანცხადა, რომ ბიბლიოთეკა ახალი გახსნილი იყო და ადრე არ ფუნქციონირებდა. შესაბამისად ვერ მოხდა მისი სათანადოდ მოწესრიგება.

2.7 სკოლამ ვერ წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის მეორე სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებული იყო 2 ცალი საევაკუაციო გეგმა და 2 ცალი ცეცხლმაქრი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დამზადდა პირველი სართულის საევაკუაციო გეგმა და შესყიდულ იქნა 1 ცალი ცეცხლმაქრი პირველი სართულისათვის. გაფომრებული იყო ხელშეკრულება ექიმთან და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას შეძენიალ იქნა პირველადი დახმარების მედიკამენტები, რომლებიც განთავსდა ბიბლიოთეკაში მდგარ კარადაში. სკოლას ჰქონდა ერთი შიდა კამერა, რომელიც განთავსებული იყო ბიოლოგიის და ისტ-ის ლაბორატორიაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას სკოლამ პირველი და მეორე სართულის შესასვლელ კართან დაამონტაჟა თითო ვიდეოკამერა, ჩამწერი მოწყობილობა და კვების ბლოკი განთავსდა ბიბლიოთეკაში. აღნიშნული კამერებით კონტროლდებოდა პირველი და მეორე სართულის სადარბაზოს ის ნაწილი, რომლითაც შესაძლებელი იყო სკოლის კუთვნილ ფართში შესვლა. წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც არ ჰქონდა მითითებული ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ადგილი, დამონტაჟებული ორივე გარე კამერა, შეესაბამებოდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლის შიდა პერიმეტრი არ კონტროლდებოდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას დამონტაჟებული ჰქონდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, მან ასევე დაამატა, რომ

საევაკუაციო გეგმა დამტკიცდებოდა პედსაბჭოზე. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო რატომ უნდა დატკიცებულიყო საევაკუაციო გეგმა პედსაბჭოზე.

2.8 დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი შემდეგი დოკუმენტები:

1. შპს „არილის" წესდება, რომელიც შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: ზოგადი დებულებანი, საზოგადოების საქმიანობის საგანი, საწესდებო კაპიტალი, პარტნიორის უფლება-მოვალეობანი, საზოგადოების ქონება და სამეურნეო საქმინობა, საზოგადოების მართვა, აღრიცხვა-ანგარიშები, რევიზია, რეორგანიზაცია (გარდაქმნა) ან ლიკვიდაცია;

2. შპს „არილის" შინაგანაწესი, რომელიც შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: ზოგადი დებულებები, შინაგანაწესის მოქმედების სფერო, თანამშრომელთა მიღება-დათხოვნის წესები, ძირითადი მოვალეობანი, დირექციის ძირითადი მოვალეობანი, პედაგოგის ვალდებულებები, მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის (აგრეთვე სხვა მოსამსახურეთა) ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შეზღუდვის საფუძვლები, ზოგადი განათლების მიღება, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და დათხოვნის პირობები, მოსწავლის წახალისება, თანამშრომელთა წახალისება წარმატებისთვის, სკოლის მართვაში მონაწილეობა, სკოლის დისციპლინა, სწავლის ქირა და მისი გადახდის შეღავეთები, დასკვნითი დებულებანი, შინაგანაწესში ცვლილებების წესი. აღნიშნული დოკუმენტის მე-10 მუხლის 10.2 პუნქტის - „დისციპლინური ზემოქმედების გნსაკუთრებული ფორმა - სკოლიდან გარცხვა დასაშვები იყო თუ მოსწავლე: სასტიკი საყვედურის მიღების შემდეგ ჩაიდენდა ისეთ ქმედებას, რაც იმსახურებდა დისციპლინურ სასჯელს; სისტემატურად უხეშად დაარღვევდა დისციპლინას; არასაპატიო მიზეზით სისტემატურად გააცდენდა გაკვეთილებს; მასწავლებელს ან სკოლის სხვა მუშაკს მიაყენებდა ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ან დაემუქრებოდა მას რაიმე ფორმით; მოსწავლეს მიაყენებდა უხეშ ფიზიკურ შეურაცხყოფას; სკოლაში გამოცხადდებოდა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ; სკოლას მიაყენებდა მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს; თუ მის მიმართ ძალაში შევიდოდა სისხლის სამართლის გამამტყუნებელი განაჩენი";

3. შპს „არილის" წესდება, რომელიც შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: ზოგადი დებულებები, ძირითადი მიზნები და ამოცანები, დაწესებულების მართვა, დაწესებულების პედაგოგიური მუშაკები, სასწავლო პროცესი, საფინანსო ეკონომიკური საქმიანობა, სახელმწიფო კონტროლი, დაწესებულების წესდებაში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული დოკუმენტის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „ყოველი სემესტრის ბოლოს შესაძლებელია დაბალი აკადემიური მოსწრების გამო მოსწავლე გარიცხულ იქნას სკოლიდან პედაგოგიური საბჭოს და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით" ;

4. შპს „არილის" თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც განსაზღვრავდა დირექტორის მოადგილის, ფინანსური მენეჯერის, უსაფრთხოებისა დაცვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის, საქმისწაროებისა და IT მენეჯერის, მასწავლებლის, სამედიცინო სამსახურისა და ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობებისა და ვალდებულებების ამსახველი ინფორმაციისაგან;

5. ბიბლითეკის დებულება, რომელიც შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: ზოგადი დებულებანი, ბიბლიოთეკის მიზანი, ამოცანა და ფუნქციები, ბიბლიოთეკის უფლება და მოვალეობანი, ბიბლიოთეკარი?, მკითხველის უფლებები, მკითხველის ვალდებულებების და პასუხისმგებლობები, დასკვნითი დებულებანი.

2.9 სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლითაც არ ირკვეოდა რამდენ წელზე იყო დოკუმენტი გათვლილი. შინაარსიდან გამომდინარე, დაგეგმილი

იყო სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მოსწავლეების მშობლებთან ურთიერთობის გააქტიურება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება - კათედრების კაბინეტების მოწყობა, სამედიცინო კაბინეტის მოწყობა ... თუმცა, არ ახლდა სავარაუდო სამოქმედო გეგმა, როდის იგეგმებოდა თითოეული აქტივობის განხორციელება და ვინ იყო პასუხისმგებელი პირი. სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2014-2015, შედგებოდა სასწავლო წლის მანძილზე სასწავლო პროცესის შესაბამისი აქტივობების, ვადებისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა გეგმავდა სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგის, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას მასწავლებლებისთვის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულყოფასა და სხვა აქტივობებს.

წარმოდგენილ დოკუმენტებს პირველ გვერდზე დასმული ჰქონდა დაწესებულების ბეჭედი და ხელმოწერილი იყო დირექტორის მიერ, არ გააჩნდა დამტკიცების რეკვიზიტები. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა შპს არილის პედაგოგიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის N17 სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც განხილული იყო აღნიშნული გეგმები. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროისთვის დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შემდეგი წლის მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა.

3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით

3.1 ხელოვნების პედაგოგებს (ნათია ნატროშვილი და ნათია კუკულავა) არ გააჩნდათ „ზოგადი განათლების კანონით" გათვალისწინებულ აღნიშნული საგნის მასწავლებლის უფლება. ეს მასწავლებლები სკოლაში ასწავლიდნენ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. დირექტორმა აღნიშნა, რომ ვერ მოიძია შესაბამისი კადრები და ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლის საიტზე გამოცხადდა ვაკანსია.

3.2 აღსანიშნავია, რომ პედაგოგებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადა იწურებოდა ამა წლის 28 აგვისტოს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას, აღნიშნა, რომ პედაგოგების გარდა სკოლის სხვა პერსონალის დასაქმებასთან დაკავშირებით გამოცემული იყო დანიშვნის ბრძანებები. აღნიშნული თანამშრომლების დანიშვნის ბრძანებების უმრავლესობა გაფორმებული იყო 2011 წელს, ბრძანებებში გაწერილი იყო, რომ დანიშნულ პირებთან უნდა გაფორმებულიყო შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფიზიკურად ვერ მოხდა მსგავსი კვალიფიკაციის კადრის მოძიება და ამჟამად გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი. მან ასევე წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები და სთხოვა საბჭოს დაეშვა გამონაკლისი დაწესებულებასთან მიმართებით. სკოლის დირქტორმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გამოსწორებდა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს.

სხდომის თავმჯდომარემ განაცადა, რომ საბჭო ითვალისწინებდა ყველას ინტერესს, თუმცა მისთვის უპირატესი იყო მოსწავლეთა ინტერესები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არილისათის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს არილს (ს/კ:445387778) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს - ნინო ბალანჩვაძემ და ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნაში ხარვეზები დაფიქსირებული არ ყოფილა. სკოლის სასწავლო გეგმა ნათლად პასუხობდა დაწესებულების მისიას, გათვალისწინებული იყო შესაბამისი საფეხურის ამოცანები. მან ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში ისწავლებოდა რუსული ენა მეორე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით ნინო ბანალჩივაძემ განაცხადა, რომ სკოლას გააჩნდა კარგი ინფრასტრუქტურა და მისიასთან შესაბამისი მატერაილურ-ტექნიკური ბაზა.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, მიიღებდა თუ არა სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეს, რომელიც არ იყო ქრისტიანი, რაზეც დაწესებულების დირექტორმა, მარინა კაჭარავამ განაცდახა, რომ აღმსარებლობა არ უზღუდავდა არც ერთ მოსწავლეს დაწესებულებაში სწავლის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი მანანა რატიანი დაინტერესდა გაკვეთილების ხანგრძლივობით, რაზეც მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ყველა კლასში გაკვეთილების ხანგრძივობა შეადგენდა 40 წუთს.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა რას გულისხმობდა შეფასების სტრატეგიული გეგმა, რაზეც ნინო ბალანჩვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა აღნიშნული დოკუმენტი კონკრეტულად გაწერილი ინდიკატორებით თითოეული საგნის ჭრილში. აღნიშნული დოკუმენტი იყო ერთწლიანი და სრულდებოდა 2016 წელს, თვეების მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სკოლის რესურსი იძლეოდა 253 მოსწავლის მიღების საშუალებას, და შესაბამისად მოითხოვა მოსწავლეთა კონტიგენტის 253-ით განსაზღვრა. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა კონტიგენტის 253-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს (ს/კ:200272034) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 253-ით.

3. ა(ა)იპ - ჩვენი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა - ნელი ნასყიდაშვილმა და მარიამ ხუციშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები დაფიქსირებული არ ყოფილა. მან ხაზი გაუსვა სკოლის მიერ გაძლიერებულ მიმართულებას - მუსიკის სწავლებას და დაამატა, რომ სკოლა არ ასწავლიდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგან მუსიკას - არამედ თითოეული კლასის მიხედვით არჩეული ჰქონდა მუსიკასთან დაკავშირებული საგნები. აღნიშნული შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

დაწესებულების იურისტმა, თათია ზარქუამ აღნიშნა, რომ სკოლის მუსიკალური პროფილი ასევე შეთანხმებული იყო კულტურის სამინისტროსთან, რადგან დაწესებულება იყო კონსერვატორიასთან არსებული, ასწავლიდა კონსერვატორიაში დასაქმებული პერსონალი. მან ასევე დაამატა, რომ სკოლაში სწავლობდნენ განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა როგორი აკადემიური მოსწრება ჰქონდათ იმ მოსწავლეებს, ვისაც ხშირად უწევდა გასტროლებზე წასვლა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის იურისტმა განაცხადა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასპორტო და სახელოვნებო აქტივობებში მონაწილეობის შემთხვევაში მოსწავლეებს არ უხდებოდათ ექსტერნის გამოცდის ჩაბარება. მათ უტარდებოდათ ინდივიდუალური მეცადინეობები, რათა არ ჩამორჩენოდნენ სასწავლო მასალას. ისინი მონაწილეობდნენ არა მარტო სახელოვნებო, არამედ სგნობრივ ოლიმპიადებში და ჰქონდათ მნიშვნელოვანი წარმატებები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას სურდა 150 მოსწავლის მიღება. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სკოლას გააჩნდა შესაბამისი რესურსი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჩვენი სკოლისათვის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა კონტიგენტის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის

1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჩვენ სკოლას (ს/კ:404856544) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 150-ით.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადაა შესვენება 16:59 საათზე.
საბჭო განახლდა 17:15 საათზე.

4. შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში არსებითი ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული. აქვე დაამატა, რომ უზუსტობები და შეუსაბამობები დაწესებულებამ გაასწორა ვიზიტის პერიოდში.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, შეესაბამებოდა თუ არა დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემა სტანდარტის მოთხოვნებს, რაზეც ექსპრტებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროგრამები შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. შესაბამისად, შეფასების სისტემაც სტანდარტის შესაბამისობაში იყო.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთანაც მუშაობა მიმდინარეობდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად და გარკვეული წარმატებებიც ჰქონდათ აკადემიური მოსწრებისა და ზოგადი უნარების თვალსაზრისით. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქიონირებდა ელექტრონული ჟურნალი და ყველა მშობელს საღამოს 5 საათამდე ჰქონდა ინფორმაცია საკუთარი შვილის მოსწრებისა და ზოგადი მდგომარეობის შესახებ.

საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სავალდებულო იყო თუ არა მოძღვართან ბავშვების გასაუბრება, რაც აღნიშნული იყო დაწესებულების მისიაში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მოძღვართან საუბარი მოსწავლის სურვილზე იყო დამოკიდებული.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა დაესახელებინა ორი სტრატეგიული მიზანი, რომელსაც ყველაზე პრიორიტეტულად მიიჩნევდნენ ახლო მომავალში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი მიზანს მოსწავლეთათვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი განათლების მიცემა, ხოლო მეორე მიზანს სხვა ქვეყნის სკოლებთან თანამშრომლობის დამყარება და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაციით მიმართა - გაემდიდრებინათ საბიბლიოთეკო ფონდი, რადგან ერთ მოსწავლეზე მინიმუმ 10 წიგნი სკოლას არ გააჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმებოდა კონკრეტული ღონისძებების გატარება საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მიზნით. მან ასევე დაამატა, რომ სურდა მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულიყო 250-ით. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა 130 მოსწავლის მიღების საშუალებას. დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი ფართი, თუმცა მერხები გათვლილი იყო 130 მოსწავლეზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა კონტიგენტის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარს (ს/კ:200275549) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 130-ით.

5. შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და დავით ჭეიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი არსებითი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2015-2016 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგებოდა სკოლის მისიის, საათობრივი ბადის (საათების განაწილება საგნებისა და კლასების მიხედვით), გრიფირებული სახელმძღანელოების ჩამონათვალის (წარმოდგენილ გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი არ იყო სრული, კერძოდ განსაზღვრული არ იყო V-VI კლასებში ისტ-ის სახელმძღანელო, ხოლო IV და VIII კლასებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღანელო), სადამრიგებლო პროგრამის, ინკლუზიური განათლების პრინციპების, სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესისაგან.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილ მოსწავლის შეფასების სისტემაში აღწერილი იყო საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების, საგნის წლიური ქულის, საერთო წლიური ქულების გამოანგარიშების წესები (ეს უკანასკნელი უკვე ამოღებულია ეროვნული სასწავლო გეგმიდან), საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გაცდენები და გამოცდები.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო წარმოდგენილი:

- სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, და აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით;
- გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენის პირობები (ე.ს.გ. თავი III,მუხლი 11);
-სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად(ე.ს.გ. თავი III,მუხლი 11);
-ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა. როგორც სკოლის დირექტორის მოადგილესთან, ქალბატონ როზა გულისაბედაშვილთან ინტერვიუთი დადგინდა, სკოლა ელოდებოდა სასწავლო წლის დაწყებას, რათა მშობლებთან და მოსწავლეებთან შეთნხმებით

შეერჩია დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და შესაბამისად აღწერილობა, რაც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. (ე.ს.გ. თავი III, მუხლი 11).

1.4 წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა მოსწავლეს გაცდენების გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში აკლებდა ქულას ხოლო ერთი სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების ½-ის და მეტი გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის (საშუალო საფეხური) შეფასება ხდება ექსტერნატის ფორმით, საბაზო საფეხურის შემთხვევაში კი არსებული ჩანაწერის მიხედვით განისაზღვრებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით, სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული წესის განსაზღვრება აღარ იძებნებოდა. მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზემოთმოყვანილი პირობები უკვე ძალადაკარგული იყო. მოსწავლის მიერ კონკრეტულ საგანში წლის განმავლობაში გაცდენილი საათების გარკვეული რაოდენობა ნამდვილად იწვევს მოსწავლის ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩაბარების საფუძველს, მაგრამ არა ზემოთნახსენები რეგულაციებით.

1.5 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში (VII-XII კლასები) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნებოდა სემესტრული გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ინგლისურ ენაში, რუსულში, საქართველოს ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკასა და ქიმიაში. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გამოცდის ტიპებს შორის ნამდვილადაა მოხსენებული სემესტრული გამოცდა, მაგრამ სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის და მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ.

1.6 ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა შემცირებული იყო მუსიკაში და VIII-IX კლასებში ხელოვნებაში, მე-8 კლასში სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოებაში.

1.7 ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილი საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასებისა და საგნების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, მოსწავლეთა კვირეული დატვირთვა მე-10 კლასში შემცირებული იყო 2 საათით სამოქალაქო განათლებისა და სპორტის ხარჯზე. არჩევითი საგნების ბლოკში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა მსოფლიო კულტურას მე-11 კლასში 1 სათიანი დატვირთვით და ეკონომიკას X, XI, XII კლასებში (აღსანიშნავის, რომ ასეთი საგანი არჩევითი საგნების ბლოკში არ არსებობს. ინტერვიუთი დადგინდა რომ ამ სახელწოდების ქვეშ მოიაზრებენ მე-10 კლასში ეკონომიკის პრონციპებს, მე-11-ში ბიზნესის საფუძვლებს, მე-12 კლასი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებს. მეწარმეობის საფუძვლები არჩევითი საგნების ჩამონათვალში განსაზღვრულია, დანარჩენი დისციპლინები არა).

1.8 VII-IX კლასებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ისტ-ს. თემატური გეგმა, სილაბუსი ან რაიმე აღწერილობა აღნიშნული საგნისა არ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნულ საგანს სკოლა სთავაზობდა მუსიკის საათების შემცირებისა და კვირეული საათობრივი დატვირთვის 1 საათით გაზრდის ხარჯზე.

1.9 საათობრივი ბადის მიხედვით, სკოლა თავის მოსწავლეებს მე-12 კლასში სთავაზობდა ზოგად უნარებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დისციპლინა არ არსებობს, ამასთან სკოლამ არ წარმოადგინა ამ საგნის პროგრამა(სწავლების მიზანი, შედეგები, შეფასების სისტემა, ინტერვიუთი

დირექტორის მოადგილე, ქალბატონ როზა გულისაბედაშვილთან დადგინდა, რომ ეს იყო ფაკულტატურული საგანი, გათვალისწინებული მე-12 კლასისთვის და მოიაზრებდა მათემატიკის ელემენტების სწავლებას. სკოლამ წარმოადგინა გასული სასწავლო წლის აღნიშნულ საგანში გავლილი თემების ჩამონათვალი, შეფასების სისტემა არის ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა).

1.10 სკოლის დირქტორთან, ქალბატონ როზა გულისაბედაშვილთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებს - სპორტის სახეობად სთვაზობდა „მიზანში სროლას" 9-12 კლასებში, სხვა სპორტის სახეობა განსაზღვრული არ ჰქონდათ. თუმცა შეფასების სისტემაში სკოლას ეწერა რომ მოსწავლე ფასდებოდა ჩეთვალა არ ჩაეთვალა სისტემით ფეხბურთსა და კალათბურთში. მაგრამ არსად არ იკითხებოდა სპორტის ამ სახეობებს სთავაზობდა თუ სკოლა მოსწავლეებს, არც შესაბამისი თემატურები ყოფილა წარმოდგენილი.

ამრიგად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ნაწილობრივ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა 1.10 შენიშვნას, რადგან სკოლას გააჩნდა შესაბამისი რესურსი რათა შეეთავაზებინა მოსწავლეთათვის აღნიშნული სპორტის სახეობები. მან ასევე დაამატა, რომ სკოლა ცდილობდა ბაზარზე თავი დაემკვიდრებინა სიახლეებით. დაწესებულებამ გამოიგონა და დააპატენტა ქართული ანბანის შესაბამისი სკამები, რომლებზე დასხდებოდნენ კლასში წარჩინებული მოსწავლეები. სკოლის დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციას გააჩნდა საბავშვო ბაღი თვითმფრინავში, რაც ასევე სიახლეს წარმოადგენდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

1.11 დაწესებულებამ წარმოადგინა თემატურ-კალენდარული გეგმები და სილაბუსები კლასებისა და საგნების მიხედვით. წარმოდგენილ გეგმებში, მხოლოდ ინგლისური ენა იყო 2015-2016 სასწავლო წელზე გაწერილი, დანარჩენი წარმოდგენილი თემატური გეგმები და სილაბუსები მათი თავფურცელზე გაკეთებული წარწერის მიხედვით იყო 2014-2015 სასწავლო წელზე გათვლილი. სკოლის დირექტორის მოადგილესთან, ქალბატონ როზა გულისაბედაშვილთან ინტერვიუთი, დადგინდა, რომ ყველა წარმოდგენილი გეგმა იყო 2015-2016 სასწავლო წლის და ტექნიკური ხარვეზი იყო თავფურცლებზე, რომელიც თვითონ ქალბატონ როზას გაკეთებული იყო. სკოლის მიერ წარმოდგენილი ე.წ. თემატური გეგმების და/ან სილაბუსების დიდი ნაწილი წარმოადგენდა სახელმძღვანელოს შინაარს/სარჩევს ან იმდენად მწირი მასალით , რომ რთული იყო საუბარი იმაზე, სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობდა თუ არა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სკოლის ადმინისტრაციამ საშუალება მისცა ექსპერტებს გასაუბრებოდნენ სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს. მასწავლებელთან საუბარმა ცხადყო, რომ სწავლება სწავლის პროცესში ის იყენებდა მოსწავლეზე ორიენტირებულ მოდგომებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წამოღებული ჰქონდა შესაბამისი თემატურ-კალენდარული გეგმები.

1.12 სკოლაში გამოყენებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა გაწერილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდებოდა ათქულიანი სისტემით, ხუთი დონის და სამი კომპონენტის მიხედვით. შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა ჰქონდა. 2015-2016 სასკოლო სასწავლო გეგმაში და /ან მასწავლებელთა ე.წ. სილაბუსებსა და თემატურ და/ან თემატურ კალენდარულ გეგმებში მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები არ იყო წარმოდგენილი, თუმცა გასული სასწავლო წლის კათედრების პორტფოლიოებსა და მასწავლებელთა პორტფოლიოებში ჩადებული იყო შეფასების რუბრიკები, რომლებსაც, როგორც ქალბატონმა როზამ აღნიშნა, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები სისტემატურად აცნობდნენ სკოლის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს საკლასო კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე. გასული

სასწავლო წლის მასალებში წარმოდგენილი იყო აგრეთვე შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის დაგეგმვის რეკომენდაციები.

1.13 დაწესებულებამ სასკოლო სასწავლო გეგმების შეფასებისა და გაუმჯობესების წესები, როგორც გაწერილი მექანიზმი, ვერ წარმოადგინა, თუმცა კათედრების პორთფოლიოებიდან გამომდინარე, გასულ სასწავლო წელს, კათედრებზე მიმდინარეობდა გაკვეთილებზე დასწრება , ანალიზი, შეფასება რომელიც გამოყენებულ იქნება სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლემა აღნიშნეს, რომ ეთანხმებოდნენ შენიშვნების უმრავლესობას და გაითვალისწინეს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს" დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის ქ. რუსთავში, შევჩენკოს ქ. №5-ში, მოქალაქე გარი ჩაფიძისგან (პ/ნ 54001003307) იჯარით აღებული ჰქონდა სამი შენობა (შენობა №8, შენობა №12 და შენობა №13) საერთო ფართით 428,66 კვ.მ. აღნიშნული შენობებიდან შენობა №13-ში განთავსებული იყო ე. წ. სპორტული დარბაზი (სპორტული კლუბი), შენობა №8-ში დაწყებითი საშუალო სკოლა, ხოლო შენობა №12-ში კი საბაზო და საშუალო სკოლა. მოცემულ ორ „სასწავლო" შენობაში (შენობა №8 და შენობა №12) არის 15 ოთახი. მათგან შენობა №12-ში თითო ოთახი დათმობილი ჰქონდა ბიბლიოთეკას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და კომპიუტერულ ლაბორატორიებს, ერთი ოთახი - დირექტორის მოადგილეს. შენობა №8-ში კი ორი ოთახი იაკობ გოგებაშვილის მუზეუმს, ხოლო ერთი ოთახი - მდივანს. საერთო ჯამში სამივე შენობაში სასწავლო ოთახების (კლასების) რაოდენობა შეადგენდა 10-ს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკლასო ოთახების საშუალო ფართი იყო 16,65 კვ.მ. ხოლო ოთახის სიმაღლე კი 2,25 მ.
მისამართზე, ქ. რუსთავი შევჩენკოს ქ. №5, რომლის მიწის ნაკვეთის საერთო ფართის არის 2156 კვ.მ. გარდა იმ შენობებისა, რომლებშიც განთავსებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, არის კიდევ სხვა შენობებიც და მათში განთავსებული იყო: კოლეჯი, საბავშვო ბაღი, სამედიცინო კლინიკა და ა.შ. მთლიანობაში ეს ტერიტორია იწოდება, როგორც „აკადემიური ქალაქი".

2.2 საკლასო ოთახებში განლაგებული იყო ერთადგილიან და ორადგილიანი მერხები, შესაბამისი რაოდენობის სკამებით, კედელზე განთავსებული იყო დაფები, იდგა მასწავლებლის მაგიდა თავისი სკამით. სულ სკოლის მფლობელობაში არსებულ შენობებში იდგა 92 ერთადგილიანი მერხი, თავისი სკამებით, 7 ორადგილიანი მერხი - შესაბამისი სკამებით. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საკლასო ოთახებში განლაგებული ერთადგილიანი და ორ ადგილიანი მაგიდების ფლობის დამადასტურებელი დოკმენტები. წარმოდგენილი იყო 2015 წლის 17 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება და შესაბამისი საგადასახადო დავალება განჯინის და „მაგიდების დამზადებაზე" საერთო თანხით 1750 ლარის, მაგრამ არც ხელშეკრულებიდან და არც საგადასახადო დავალებიდან არ ჩანდა რამდენი მაგიდა დამზადდა და როგორი. წარმოდგენილი იყო 2015 წლის 19 მაისს გაფორმებული ორი ხელშეკრულება, პირველკლასელთათვის 7 ცალი მერხის დამზადების და 110 ცალი ერთადგილიანი მერხის შემოტანის შესახებ, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედნადებები ან საგადასახადო დავალებები, რომლებითაც დამტკიცდებოდა აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების რეალურობა.შესყიდვების

დამადასტურებელი დოკუმენტაციებიდან წარმოდგენილი იყო 135 ცალი სკამის და ცხრა ცალი დაფის შესყიდვის ამსახველი სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო დავალებები.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შესყიდვების დამადასტურებელ დოკმენტებში გადამხდელად დასახელებული იყო „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“ არადა სკოლა მისი წესდებით, დებულებით, შინაგანაწესით იწოდება, როგორც „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“-ს ქ. რუსთავის ზოგასაგანმანათლებლო საშუალო სკოლა.

2.3 სკოლას ჰქონდა არასტანდარტული ზომის, 11,6 მ.X8,6 მ. (99,76 კვ.მ.) „სპორტული დარბაზი“. რომელშიც იდგა ორი ცალი „სარბენი ბილიკი“. დარბაზში არ იყო იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებს განეხორციელებინათ სპორტული აქტივობები: ფრენბურთში, ხელბურთში, მინი ფეხბურთში, კალათბურთში შესაბამისი აღჭურვილობის არარსებობის გამო. დარბაზის იატაკი იყო ლამინატი და დიდი იყო დაცემის ალბათობა, ფანჯრის მინები არ იყო აღჭურვილი დამცავი ბადეებით, რაც ზრდიდა მოსწავლეთა დაზიანების რისკ ფაქტორებს, არ იყო შესაბამისი გასახდელები და ა.შ.

2.4 დაწესებულებას შენობა №12-ში, პირველ სართულზე 15,3 კვ.მ. ფართის ოთახში, მოწყობილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელშიც გარდა იმ კარადების სადაც განლაგებულია ხელსაწყოების მცირე ნაწილი (დანარჩენი დიდი ნაწილი ალაგია ყუთებში ამავე ოთახში), იდგა 12 ერთადგილიანი მერხი. აღნიშნული ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი. ამავე შენობაში პირველ სართულზევეა განთავსებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომლის ოთახის ფართიც არის 11,52 კვ.მ. და იდგა ხუთი კომპიუტერი. ზოგადად მატერიალური რესურსის ფლობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „ართ აუდიტ კონსალტინგი“-ს მიერ გაკეთებული „საშემფასებლო ანგარიში ინვენტარის შეფასება“, მაგრამ აუდიტორიული ფირმა იხსნიდა პასუხისმგებლობას ამ ანგარიშში ჩამოთვლილი ქონების საკუთრების უფლებებზე და მათთვის მიწოდებული ინნფორმაციის სიზუსტეზე.

2.5 სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, რომელიც ჩართული იყო ქ. რუსთავის ელექტრო სისტემაში. დაწესებულებას არ ჰქონდა დამოუკიდებელი ელექტროენერგიის მიწოდების წყარო (გენერატორი). წარმოდგენილი, მოხმარებული ელექტროენერგიის და წყლის ღირებულების გადახდის ქვითრებიდან ჩანდა, რომ შუქის და ელექტრო ენერგიის გადასახადს იხდიდა „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“ მთლიანად, სხვა ამ ტერიტორიაზე განთავსებულ დაწესებლებებთან ერთად და არა სკოლა. ელექტრო სისტემა არ იყო განმხოლოებული. შენობებში დამონტაჟებული იყო გათბობის ცენტრალური სისტემა, რომელიც ბუნებრივ აირზე მუშაობდა. შენობაში განთავსებულ ოთახებს ჰქონდათ ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სარკმელი საიდანაც შუქი შემოდიოდა პატარა ზომის იყო 1,56 მ.X 0,55 მ. (0,86 კვ.მ.). შენობა №8 და შენობა №12-ში იყო ორ - ორი სველი წერტილი თითო უნიტაზით, ხოლო შენობა №8-ში კი ერთი სველი წერტილი ერთი უნიტაზით, რაც, ჩვენი აზრით, არასაკმარისია. სპორტულ დარბაზში უნდა იყოს მინიმუმ ორი სველი წერტილი, ერთი გოგონებისთვის და ერთი კი ვაჟებისთვის.

2.6 სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებული იყო შენობა №12-ში პირველ სართულზე მდებარე 15,3 კვ.მ. ფართის ოთახში, აქვე მდებარეობდა წიგნსაცავი, ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდა და სამკითხველო დარბაზიც. ბიბლიოთეკაში ფიქსირდებოდა ხუთი ცალი წიგნების კედლის თარო, ხუთი ერთადგილიანი მაგიდა, ერთი ორადგილიანი მაგიდა, ერთი ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდა და ერთი ნეთბუკი. ბიბლიოთეკაში იყო კატალოგი ქაღალდის მატარებელზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგებოდა 600 ერთეული მხატვრული ლიტერატურისგან, 176

ერთეული სახელმძღვანელოსგან და 32 წიგნადი ერთეული მეთოდური ლიტერატურისგან. სულ წიგნადი ფონდი ჯამში შეადგენდა 808 წიგნად ერთეულს. აღნიშნული წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკმენტები ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი. სკოლის ბიბლიოთეკაში იყო გაზეთი „ახალი განათლება“ და გაზეთი „რუსთავი“ თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულება ბიბლიოთეკისთვის პერიოდიკის მიწოდებაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება, პერიოდიკის მოწოდებაზე, გაფორმებული 2014 წლის 25 ივნისს აკადემიურ ქალაქსა და სს „საქპრესას“ შორის 2014 წლის VII-XII თვეებში პრესის მიწოდებაზე. ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის ნაწილი არ იყო დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესით, თუმცა ხარვეზი ვიზიტის მსვლელობის დროს გამოსწორდა. ბიბლიოთეკაში არ იყო გამოკრული თვალსაჩინო ადგილას ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკარის ფიქრია ფეიქრიშვილის განცხადებით ამ ინფორმაციას სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეებს აცნობებდნენ გაკვეთილებზე. სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან შემთხვევითი შერჩევის წესით სახელმძღვანელოების შემოწმებამ აჩვენა, რომ ბიბლიოთეკაში ყველა სახელმძღვანელო იყო წარმოდგენილი. დაფიქსირდა ერთი უზუსტობა, მეორე კლასში, სკოლის სასწავლო გაგმით, სახვით და გამოყენებთ ხელოვნებაში სახელმძღვანელოდ მითითებული იყო ავტორების, მაჭარაშვილი ნ. მაჭარაშვილი მ. ჯაბუა ნ. სილაგაძე ნ. სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკაში კი იყო ავტორების მაჭარაშვილი ნ. მაჭარაშვილი მ. ჯაბუა ნ. სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში ზემოთ ნახსენები მეთოდური ლიტერატურის გარდა სხვა დამხამარე მასალა არ ფიქსირდებოდა.

2.7 სკოლის ეზოში და შენობების შესასვლელებში მოწყობილი იყო პანდუსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, თუმცა ზოგადად ასეთი მოსწავლეებისათვის სკოლაში არ იყო ადპტირებული გარემო. კერძოდ: არა იყო ადაპტირებული სველი წერტილი და შენობის მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე არ იყო მოწყობილი პანდუსები.

2.8 სკოლაში ფიქსირდებოდა ექვსი კომპიუტერი და ერთი ნეთბუკი. ექვსი კომპიუტერი ჩართული იყო ინტერნეტში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხუთი კომპიუტერის ფლობის დამადასტურებელი დოკმენტაცია. სკოლის ვებგვერდი www.akademiuriqalaqi.ge არ ფუნქციონირებდა. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წარმოდგენილი იქნა მხოლოდ დომეინის ფლობის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დათარიღებული 2015 წლის 15 მაისით. ამ დოკუმენტიდან ირკვეოდა, რომ დომეინი akademiuriqalaqi.ge დავალიანების გამო გათიშული იყო 2013 წლის 05 ოქტომბრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად საიტი ფუქნციონირებდა და დოკუმენის ფლობის ღირებულებაც გადახდილი იყო.

2.9 სკოლაში იყო ხუთი ცეცხლმაქრი და წარმოდგენილი იქნა შვიდი ცეცხლმაქრის შეძენის, ფლობის, საგადასახადო დავალება, რომლის მიხედვითაც შემძენი იყო შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“ და არა შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“-ს ქ. რუსთავის საშუალო სკოლა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის მიერ, მაგრამ არ იყო მითითებული შესაბამისი ბრძანების რეკვიზიტები ასევე ბუნდოვანი იყო თვით ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, მაგალითად, პირველ პუნქტში ეწერა, რომ „პედაგოგი ვალდებულია იმოქმედოს მკაცრად ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც გაეცნო სიტყვიერად სახანძრო სამსახურის ინსპექტორისგან“ არადა სკოლას არ ჰყავდა საშტატო განრიგით გათვალისწინებული სახანძრო სამსახურის ინსპექტორი. ამავე დოკუმენტის მესამე პუნქტში ეწერა, რომ „თითოეულ ცეცხლმაქრზე

მიმაგრებულია ერთი მოსწავლე და ერთი პედაგოგი" გაუგებარია ვინ არიან ისინი და რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ხანძრის დროს სკოლაში არ იქნებოდა და ა.შ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები ბუნდოვანი და ცოტა გაურკვეველი იყო, მაგალითად არ ჩანდა სად, ვისთან ან როდის გადიოდა პედაგოგიური კოლექტივი სპეციალურ სწავლებას პირველად სამედიცინო დახმარებაში, ან რა იგულისხმება ფრაზაში, დირექციასთან მიმართებაში, „რომელიც მდგომარეობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას გამოძახებული იქნას, თუ არა სამედიცინო დახმარების ბრიგადა".

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის პერსონალს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციებთან დაკავშირებით ტრენინგებს თავად აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლები უტარებდნენ. თითეულ ცეცხლმაქრზე კი მოსწავლეები იყვნენ მიმაგრებული.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო რას გულისხმობდა მოსწავლეების მიმაგრება ცეცხლმაქრებზე.

2.10 ტერიტორიაზე, რომელზეც განთავსებული იყო აკადემიური ქალაქი დგას დაახლოებით 16 კორპუსი და შვიდი გარე კამერა. სკოლასთან მიმართებაში დარღვეული იყო „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესები. მაგალითად, სკოლის სამ შენობას ჰქონდა სამი ცენტრალური შესასვლელი სადაც უნდა მდგარიყო ექვსი გარე კამერა, თითეულ შესასვლელთან ორი, ეს პირობა არ იყო შესრულებული. მხოლოდ შენობა №12-ში იდგა შიდა სამეთვალყურეო ვიდეოკამერები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვიდეოკამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ვიდეოკამერების დაყენების ამსახველი დოკუმენტი, რომლიდანაც არ ჩანდა რამდენი ვიდეოკამერა დაიდგა და სად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის საკუთრებაში არსებული კამერები პერიმეტრის კონტროლისათის სრულიად საკმარისი იყო.

2.11 შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს შემუშავებული ჰქონდა წესდება, რომლის მე-3 მუხლის, „საზოგადოების საქმიანობის მიზნები", შესაბამისად საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზნებს წარმოადგენდა: ყველა სახის სასწავლო (აკადემიების, უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, კოლეჯების, ლიცეუმების, სკოლების) სააღმზრდელო, სახელობო სასწავლებლების, კურსების, ხელოვნების ცენტრების, მომზადება-გადამზადების კურსების გახსნა, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების ეგიდით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და უკრაინის სახელმწიფოში; დაცვის სამსახურის გახსნა; საგამომცემლო საქმიანობა (სტამბა-დანადგარები); ყველა სახის სარეკლამო საქმიანობა; უფლებამოსილება დოცენტის, პროფესორის და დოქტორის წოდებათა მინიჭებაზე და ა.შ. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ" მე-2 მუხლის „ჟ" პუნქტს, რომელიც ამბობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც". „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს რექტორის 2014 წლის 10 ოქტომბრის №372 ბრძანებით დამტკიცებული იყო „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს ქ. რუსთავის საშუალო სკოლის დებულება.

ამ დასახელებით კი სკოლა არ ფიქსირდებოდა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირთა რეესტრში. თუმცა აღნიშნული დებულება ეწინააღმდეგება საქარართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს", რომლის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით კვირაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 ასტრონომიული საათით. წარმოდგენილი სკოლის დებულების მე-10 მუხლის მიხედვით, კვირაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება 48 ასტრონომიული საათით. „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს რექტორის 2014 წლის 10 ოქტომბრის №364 ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს ქ. რუსთავის საშუალო სკოლის წესდება, რომლითაც განსაზღვრულია: სკოლის სტატუსი, მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, სკოლის სტრუქტურა, სკოლის ადმინისტრაცია და ა.შ. არადა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ დასახელების სკოლა არ არსებობს.

„საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს რექტორის 2014 წლის 10 ოქტომბრის №370 ბრძანებით დამტკიცებული იყო „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს ქ. რუსთავის საშუალო სკოლის შინაგანაწესი. მოცემული შინაგანაწესი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ორგანულ კანონს - „საქართველოს შრომის კოდექსს", რომლის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით კვირაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 ასტრონომიული საათით, ხოლო ამ შინაგანაწესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით სამუშაო კვირა 54 საათიანია. შინაგანაწესი ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ორგანულ კანონს -„საქართველოს შრომის კოდექსის", მე-13 მუხლის მეორე ნაწილს, რომლითაც განსაზღვრული იყო ის ძირითადი მომენტები რომელებსაც უნდა არეგულირებდეს შინაგანაწესი. აქაც უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს ქ. რუსთავის საშუალო სკოლა იურიდიულად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს" ჰქონდა იმის უფლებამოსილება მიენიჭებინა დოცენტის, პროფესორის და დოქტორის წოდება კონკრეტული პირებისათვის.

2.12 დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რაც ითვალისწინებდა მატერიალური რესურსების გამოყენებას, მაგრამ არ ჩანდა მატერიალური რესურსის გაუმჯობესების მექანიზმები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამოქმედო გეგმები არ გამომდინარეობდა დაწესებულების მისიიდან, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი"-ს ქ. რუსთავის საშუალო სკოლის განვითარების გეგმებს. ავტორიზაციის მაძიებლად დარეგისტრირებულია, შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი".

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის, როგორც იურიდიულ პირად არარსებობა ამ ეტაპზე, ხელს არ უშლიდა მას განეხორციელებინა საქმიანობა სხვა იურიდიული პირის ქუდქვეშ.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების დასახელებას შესაძლებელი იყო შეცდომაში შეეყვანა დაინტერესებული პირი.

3. ადამინურ რესურსებთან მიმართებით:

3.1 სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. დირექციის ჩათვლით 26 თანამშრომელი. მათგან ამჟამად მუშაობდა 10 თანამშრომელი - 9 პედაგოგია. აქედან სამი სერტიფიცირებული. 16 მასწავლებელი, რომელთგანაც ერთი სერტიფიცირებული სკოლაში მუშაობას დაიწყებდა იმ შემთხვევაში, თუ შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი" გაივლიდა ავტორიზაციას.

3.2 სკოლის მასწავლებლები, ძირითადად შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. არსებობდა ორი გამონაკლისი: გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობდა, ირმა არჩუაძე, რომელიც იყო დიპლომირებული ისტორიკოსი და სერტიფიცირებული მასწავლებელი ისტორიაში. ინფორმაციულ საკომუნიკაციის ტექნოლოგიებს ასწავლიდა, ასმათ მიქაძე, რომელიც იყო ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ" 21^2 და 21^3 მუხლებს.

3.3 დაწესებულებამ წარმოადგინა „თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი", რომლის მიხედვითაც ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში სკოლა ვალდებული იყო გამოეცხადებინა კონკურსი, რომლის დებულებასაც ამტკიცებდა სკოლის დირექტორი საგნობრივ კათედრებთან შეთანხმებით, თუმცა აღნიშნული დებულება წარმოდგენილი ვერ იქნა. „თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესში" ჩამოთვლილია ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა წარმოედგინა მასწავლებელს სამსახურში მიღების დროს. ამ ჩამონათვალში არ ფიქსირდებოდა ცნობა ნასამართლეობის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ" 21^1 მუხლის მე-3 პუნქტს. წარმოდგენილი იყო ასევე დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო „სწავლებასა და აღზრდაში წარმატებებისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისთვის გამოყენებული წახალისებები", მაგრამ გაურკვეველი იყო ვინ, როგორ, როდის და რა კრიტერიუმებით განსაზღვრავდა სწავლაში და აღზრდაში მოპოვებულ წარმატებებს, ან რა შემთხვევაში ცხადდებოდა მადლობა, საყვედური და ა.შ.

3.4 შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტში", მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები, თუმცა ამ ხელშეკრულებებში კვირაში სამუშაო საათების რაოდენობა იყო 40 საათზე მეტი. არ იყო გათვალისწინებული ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობები და ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის გათვალისწინებული შრომის ანაზრაურება, რითაც ირღვეოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-6 მუხლის მე-9 ნაწილი. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პედაგოგებთან, რომლებიც მუშაობას დაიწყებენ სკოლაში, თუ სკოლა მოიპოვებდა ავტორიზაციას გაფორმებული ხელშეკრულებები არ იყო რეგისტრირებული „შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში".

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შაბათობით მუშაობდა მხოლოდ სკოლის ადმინისტრაცია. რაც შეეხებოდა ხელშეკრულებებს, ისინი სათანადო ჟურნალში გატარდებოდა ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში.

3.5 შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტში" არ იყო შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები დაწესებულება ორიენტირებული იყო პედაგოგთა თვითგანვითარებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების დირექტორს, თუ როგორ ესახებოდა პერსონალის პროფესიული განვითარება, რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ იგი დაუკავშირდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებს და მასწავლებლებს ჩაუტარებდა ტრენინგებს

პროფესიული განვითარების მიზნით. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ხარვეზები გასწორებული იყო და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსიტიტუტს (ს/კ:206338275) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 18:34 საათზე.
საბჭო განახლდა 18:50 საათზე.

6. შპს თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები და შენიშვნები დაფიქსირებული არ ყოფილა. მისი განმარტებით, დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს მისიაში აღნიშნული სიტყვა - „პლურილინგვისტურთან" დაკავშირებით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეები ისწავლიდნენ სამ უცხო ენას. მეორე უცხო ენის სწავლება დაიწყებოდა მეორე კლასიდან, რაც შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. კონკრეტული მიმართულების პედაგოგებს კი გააჩნდათ ორი ენის სწავლების კომპეტენცია.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სასწავლო პროგრამები შეესაბამებოდა მისიას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სურდა მოსწავლეთა კონტინგენტის 400-ით განსაზღვრა. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსი.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა კონტინგენტის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს თანამედროვე განათლების აკადემიას (ს/კ:204861596) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 400-ით.

7. შპს თბილისის საერთაშორისო განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ნოდარ ანგურიძემ. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

ექსპერტებს კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელმა, განვითარების სამმართველოს უფროსმა, თამთა კობახიძემ. იგი დაინტერესდა ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს დანართის სახით წარმოდგენელი ხსენებული მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი. დოკუმენტის გაცნობის შემდეგ მან აღნიშნა, რომ იგი არ წარმოადგენდა დაწესებულების საკუთრებას, რადგან მის მიერ იყო გაკეთებული რამდენიმე წლის წინ. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების იურისტმა განაცხადა, რომ დოკუმენტი შეიქმნა იმ დროს როდესაც თამთა კობახიძე მუშაობდა კონკრეტულ დაწესებულებაში და მან მხოლოდ გამოცდილება გაიზიარა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინტელექტულურ საკუთრებაზე დავა წარმოადგენდა სასამართლოს თემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაიზიარეს ექსპერტთა შენიშვნები და სამომავლოდ გეგმავდნენ ხარისხის მართვის მენეჯერის აყვანას, რომელიც დაეხმარებოდათ სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ სკოლა მოსწავლეზე იყო ორიენტირებული, ბეჭდავდა მათ ჟურნალებს, ნახატებს და ლექსებს.

დაწესებულების დამფუძნებელმა განაცხადა, რომ სკოლა შეიქმნა საბავშვო ბაღის ბაზაზე. ამჟამად დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა დიდი ფართი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე და იგეგმებოდა ახალი შენობის აშენება. შესაბამისად, მისთვის გაურკვეველი იყო ის გარემოება თუ რატომ დადგა დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვქვეშ.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, შენობის ცვლილების შესახებ აქტივობა გაწერილი იყო თუ არა სტრატეგიულ გეგმაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გეგმაში გაწერილი იყო შესაბამისი აქტივობა, რაც დაადასტურეს ექსპერტებმაც.

პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დასახელებასთან დაკავშირებით, რაზეც სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აპირებდა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას შენობის შეცვლის შემდეგ. მან ასევე დაამატა, რომ სურდა კონტინგენტის განსაზღვრა 85-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო განათლების სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა კონტინგენტის 85-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო განათლების სკოლას (ს/კ:204528699) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 85-ით.

8. ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითი იყო. სტანდარტის არსებითი დარღვევები არ გამოვლენილა. მან დაამატა, რომ ექსპერტებმა ასახეს მხოლოდ ერთი გარემოება - გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელს არ გააჩნდა მასწავლებლის კვალიფიკაცია. ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ რადგან აღნიშნული პიროვნება ფიქსირდებოდა საერთო ბაზაში, სასურველი იყო სკოლას იგი არ აეყვანა მასწავლებლად.

საბჭოს წევრმა პავლე თვალიაშვილმა კითვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სკოლის მისიაში არსებულ ჩანაწერთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას მოსწავლეთა ასაკის მატებასთან ერთად. მათ ასევე განაცხადეს, რომ დაწესებულებაში არსებობდა ბიბლიოთეკის საათი. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს სთხოვა მოსწავლეთა კონტიგენტის 419-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა კონტიგენტის 419-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას (ს/კ:439860152) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 419-ით.

9. სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორიგნის ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ცენტრში 2015 წლის 21 აპრილს შემოსული კორესპონდენცია (რეგისტრაციის №311166), რომელშიც მოცემული იყო ინფორმაცია სს ,,გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისის" (ს/კ:204958000) მიერ მარიამ თომაძის კანონიერი უფლებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის არსებობის შესახებ. ექსპერტმა სხდომის წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაცია. კერძოდ,

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებაში არსებობდა გამოცემული აქტების საქაღალდე, მატერიალური და ელექტრონული სახით და ინახებოდა მიღებული კორესპონდენციები, თუმცა არ მიმდინარეობდა გამოცემული/მიღებული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. დარღვეული იყო ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის 99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი ,,ი" პუნქტი.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 30 ივნისის №430 ბრძანებით შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ნოდარ ანგურიძე, ნინო ბალანჩივაძე და ნინო ფეტვიაშვილი. ჯგუფს დაევალა მოსწავლის სტატუსის განმსაზღვრელი ბრძანებების კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მატერიალური ბაზის გადამოწმება, ვინაიდან დაწესებულებამ შეიცვალა შენობა. ასევე გადამოწმდა პროგრამული ნაწილი და სტანდარტის 3.6 პუნქტი რომელიც ეხებოდა სკოლაში კეთილგანწყობის და ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ექსპერტმა აღნიშნა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გარდა სტანდარტის 2.9 პუნქტისა - დაწესებულებას არ ჰქონდა კორესპონდენციის აღრიცხვის რეესტრის სისტემა, წერილების და გამოცემული აქტების აღრიცხვა ხდებოდა მხოლოდ ელექტრონული სახით და არ არსებობდა აღრიცხვის ჟურნალი. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ ხარვეზი გამოსწორებულ იქნა. რაც შეეხებოდა პროგრამულ ნაწილს, სკოლას ჰქონდა განათლების სამინისტროსაგან შესაბამისი ნებართვა განეხორციელებინა დამოუკიდებელი სასწავლო პროგრამა. შესაბამისად, სწავლება ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე, ინგლისური ლიტერატურის მეშვეობით და დაწესებულებას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა წერილი, სადაც ადასტურებდა განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსაგან აღნიშნული უფლების მინიჭებას. ექსპერტის განცხადებით სხვა არსებითი ხარვეზი არ ფიქსირდებოდა.

ნინო ფეტვიაშვილის გაცხადებით. რაც შეეხებოდა მოსწავლის, მარიამ თომაძის გარიცხვის საკითხს, მონიტორინგის ჯგუფს წარედგინა მოსწავლის სტატუსის განმასაზღვრელი დოკუმენტაცია, კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ჯგუფმა მოიპოვა სტატუსის შეჩერების ბრძანება და შიდა დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის გაფორმებული ბოლო ხელშეკრულების ასლი. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ორი ბრძანების ასლი აკადემიის სიიდან ამორიცხვის და სტატუსის შეჩერების შესახებ. ბრძანებაში არ იყო მითითებული გადაწყვეტილების საფუძველი ან სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულების უფლებამოსილი პირის განმარტებით სიიდან ამორიცხვის შემდგომ სკოლის დირექტორმა მიმართა განათლების სამინისტროს წერილით თუ როგორ შეიძლებოდა გარიცხული ყოფილიყო მოსწავლე და რა პუნქტები უნდა გაეთვალისწინებინა სკოლას, რაც გათავლისწინებულ იქნა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის 05/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის მე-4 მუხლის თანახმად, სტატუსის შეჩერება ხდებოდა თუ მოსწავლე 90 სასწავლო დღის განმავლობაში არ დადიოდა სკოლაში და არ იღებდა შეფასებას, დაუდგენელი იყო მისი ადგილსამყოფელი და ქრონიკულად არღვევდა შინაგანაწესს. მონიტორინგის ჯგუფმა მოითხოვა მარიამ თომაძის გაცდენების აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც ადასტურებდა შინაგანაწესის დარღვევის ფაქტს. დასკვნის შემუშავების პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი ელექტრონული ჟურნალიდან - მასწავლებლების შეფასების ჟურნალი კომენტარებით, სადაც ფიქსირდებოდა რომ მარიამ თომაძის გაცდენები. რაც შეეხებოდა მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, იგი ამავე დროს წარმოადგენდა შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს, სადაც მითითებული იყო, რომ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსწავლეს ვერ მიიღებდა ნიშნების ფურცელს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარსადგენად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მშობელი ითხოვდა სკოლას გაეცა 12 კლასის ატესტატი, მიუხედავად იმისა, რომ მე-11 კლასის პირველი სემესტრის შემდეგ მარიამ თომაძეს სკოლაში არ უვლია და არც სწავლის საფასუხი გადაუხდია.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. წარმომადგენელმა განაცხადა რომ ხელშეკრულება ფორმდებოდა და ფინანსური ვალდებულება ფიქსირდებოდა ოთხი წლით. ის ფაქტორი რომ მოსწავლეს აღარ ექნებოდა სწავლის საფასურის გადახდის შესაძლებლობა მას შეუქმნიდა სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მარიამ თომაძის ოჯახი ვერ იხდიდა ხელშეკრულებაში მითითებულ თანხას. სკოლის დირექტორმა მიუხედავად საფასურის გადაუხდელობისა, მოსწავლეს მისცა საშუალება გაეგრძელებინა სწავლა და ჩართული ყოფილიყო სასწავლო პროცესში, თუმცა დათქმულ იქნა გარკვეული პირობები აღნიშნულის სანაცვლოდ. კერძოდ, უნდა ჰქონოდა კარგი აკადემიური მოსწრება და არ უნდა გაეცდინა გაკვეთილები. მიუხედავად ამ პირობებისა, დაახლოებით ორი კვირის შემდგომ მარიამ თომაძემ დაიწყო გაკვეთილების გაცდენა და არ შეასრულა დათქმული პირობები. დაწესებულებას გარკვეული პერიოდის შემდეგ მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მოსწავლე სწავლობდა სხვა სკოლაში სადაც არ ჰქონდა წარდგენილი დოკუმენტაცია. ერთ-ერთი ამერიკულ სკოლაში ჩარიცხვის ფაქტს ადასტურებდა თავად მოსწავლეც, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. დაწესებულებამ არაერთხელ გაუგზავნა წერილი მოსწავლის მშობლებს თუმცა აღნიშნულ მისამართზე ოჯახი აღარ ცხოვრობდა.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა გარდა ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობისა დისციპლინარული გადაცდომის და შინაგანაწესის დარღვევისა, კერძოდ გაცდენა ან ცუდი აკადემიური მოსწრება თუ იყო მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის საფუძველი. სკოლის დირექტორის განცხადებით არ ხდებოდა მოსწავლის გარიცხვა ქულების გამო. არსებობდა დისციპლინარული კომიტეტი რომელიც ინფორმაციას გადასცემდა დირექტორს და გადაცდომის

შემთხვევაში თუ დაფიქსირდებოდა რეგულარული გაცდენები და შინაგანაწესის უხეში დარღვევა, დირექტორი უკავშირდებოდა მოსწავლის მშობლებს და ხდებოდა აღნიშნული საკითხის განხილვა.

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრინველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა სხდომის მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველი გახლდათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე დაწერილი მშობლის საჩივარი სადაც, მისი აზრით, ირღვეოდა მოსწავლის კერძოდ, მისი შვილის კანონიერი უფლებები. აქედან გამომდინარე ცენტრი ვერ მოახდენდა სხვა რეაგირებას, ვინაიდან ცენტრი ორიენტირებული იყო ხარისხზე და მოსწავლეების ინეტერსებისა დ უფლებების დაცვაზე. აქედან გამომდინარე, განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში, რათა დადგენილი ყოფილიყო, ხომ არ შეილახა კონკრეტული მოსწავლის უფლებები და ინტერესები, იმის გათავლისწინებით, რომ ხარისხის განვითარების შესახებ კანონში პირდაპირ იყო ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა სტუდენტის და მოსწავლის ჩარიცხვის ან ამორიცხვის წესების დარღვევას, რაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო კანონმდებლობასთან. საჩივარში საუბარი იყო ასევე იმაზე რომ, სკოლაში არ ხორციელდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ერთ ერთი საფუძველი იყო ამ შესაბამისობის დადგენა, თუმცა მთავარი მიზანი გახლდათ იმის გამორკვევა, ხომ არ გამოიწვია მოსწავლის კანონიერი უფლებების შეზღუდვა მითითებულმა გარემოებებმა. სკოლასა და მშობელს შორის არსებულ დავა ცდებოდა ცენტრის კომპეტენციებს და ამიტომ ცენტრი ვერ ჩაერეოდა მითითებულ დავაში და იგი უნდა განხილულიყო სასამართლოში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა მსგავს პრეცედენტს თუ ჰქონდა ადგილი სკოლაში , რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა რომ ფინანსური პრობლემები პერიოდულად იჩენდა ხოლმე თავს კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით, თუმცა ასეთ ვითარებაში სკოლა მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებდა მოსწავლეს. ხშირად ხდებოდა საფასურის გადახდის გადავადება ქვეყნის ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე და ასეთ შემთხვევაში არასდროს იცვლებოდა სკოლის დამოკიდებულება მოსწავლის მიმართ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხის სამართლებრივი შეფასება სცილდებოდა საბჭოს კომპეტენციას. საბჭოს შეეძლო ემსჯელა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" (ს/კ: 204958000) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:24 საათზე.

თავმჯდომარე
ლაშა მკურნალიძე

მდივანი
მაია მაღლაკელიძე